№2409 2015 წლის 10 ნოემბერი ქ. თბილისი

სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვის და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2015 წლის 25 სექტემბრის №2 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2015 წლის 25 სექტემბრის №2 სხდომაზე განხილული, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული №7 გადაწყვეტილება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**